



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27210896

თარიღი:30/03/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 20

30 მარტი 2021წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მოძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა) გიგა მოსიაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე გიგა მოსიაშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით, სარგებლობაში გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა):

ა) უგურლუს მარკის თვითმცლელი მისაბმელი, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი FF-701-H, გამოშვების წელი - 2019;

ბ) ბელარუსის მარკის თვლიანი სატვირთველი, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი FF-548-H, გამოშვების წელი - 2019;

გ) ბელარუსის მარკის თვლიანი ტრაქტორი, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი FF-547-H, გამოშვების წელი - 2019;

დ) დამაქუცმაცებელი მოწყობილობა - 1 ერთეული;

ე) დაქუცმაცებული მასის შემგროვებელი მოწყობილობა - 1 ერთეული.

2. საიჯარო ქირის გადახდა განისაზღვროს ნატურის ფორმით, წელიწადში 80 (ოთხმოცი) ტონა ვაზის ან/და თხილის ნასხლავის დაქუცმაცებული მასის სახით, თელავის მუნიციპალიტეტის 3 საბავშვო ბაღში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

